ოქმი:**ო12. 3726142001**

თარიღი:**22/05/2026**

ოქმი N 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2026 წელი, 22 მაისი

ქ.ოზურგეთი

13:00 -14:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ტატა ბარამიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები:ნ. გოლიაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. ჭანიშვილი, კ. კვაჭაძე, ი. დობორჯგინიძე, გ. კალანდაძე, თ. ქავთარია, ე. წუწუნავა, გ. ჩავლეშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდის, მერის სტიპენდიის გაცემის საქმეში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი- მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში, ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო 2026 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის შედეგები ძირითადი პარამეტრების მიხედვით, შემოსავლები და ხარჯები სახეობების მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კომისიის შესაბამისი დარგების დაფინანსებაზე, იმედი გამოთქვა, რომ წლიური ბიუჯეტის შესრულებას არსებული ტენდენციებით საფრთხე არ შეექმნება, უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას -ანგარიში წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, კონკრეტული ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხები წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განსახილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

ტატა ბარამიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი